ხელშეკრულება №07
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 02 მარტი 2021 წელი

ერთი მხრივ, ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ემილია გაბრიაძე - კაკაბაძეს სახით (რეკვიზიტები: კ. ლომაძის მოედანი #3. ს.კ.219638024. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22 და მეორე მხრივ, შ.პ.ს.,,მეგა შოპი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი სერმან მურჯიკნელის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები - რაფინირებული ზეთი - 490 (ოთხასოთხმოცდაათი) ლ, (შემდგომში „მომსახურება"), ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომლიც წარმოდგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (**CPV კლასიფიკატორის კოდი:15400000,15421000).**

2. ტექნიკური პირობები

რაფინირებული, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარეშე, პროდუქტის შეფუთვა, ეტიკეტირება, მიწოდება, ტრანსპორტირება უნდა შეესაბამებოდეს სურსათის, საკვების უვნებლობის, პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის, პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მოქმედ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2 783-20** (ორიათას შვიდასოთხმოცდასამი ლარი და 20 თეთრი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯი).

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილის შესრულების შემდეგ, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან დადასტურებული ელექტრონული ზედნადების საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოები ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ან ადმინისტრაციული ერთეულების - ბაგა-ბაღების ადმინისტრაციის უფროსები/სამეურნეო ნაწილის გამგეები/მედდები.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.მიმწოდებული უფლებამოსილია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსწორება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა.ა.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი #3
საიდენთიფიკაციო კოდი; 219638024
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
TRESGE22

მიმწოდებელი

შ.პ.ს.,,მეგა შოპი“, ს.კ.400058085
მის: ახალციხე, ნიკოლაძის ქ#39
მომსახურე ბანკი :ს.ს.საქართველოს ბანკი, BAGAGE22
ა.ნ.GE91BG0000000857045000